N 1545/09 17/02/2021

NATIONAL FOOD AGENCY Digitally signed by NATIONAL FOOD AGENCY Date: 2021.02.18 11:43:38 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №47/2021

ქ. თბილისი

ერთის მხრივ სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, მხრივ **შპს "ბრიკო კავკასუსი"** (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მამუკა დოლიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - "ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "საქონელი"– ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოსათვის ნათურების (CPV:31510000) მიწოდება გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე;

2.2. მოსაწოდებელი საქონლის დასახელება, რაოდენობა და ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ში**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **289 (ორასოთხმოცდაცხრა) ლარსა და 75 თეთრს.** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა შესაბამისი გადასახადების გათვალიწინებით.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა - **საკუთარი სახსრები.**

4 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულება;

4.2 შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს საქონლის მიწოდების ღირებულება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.3 შემსყიდველი საქონელს მიიღებს მიმწოდებლის მიერ მითითებულ მისამართზე;

4.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადის გათვალისწინებით;

4.5 მიმწოდებელი ვალდებულია:

4.5.1 მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული საქონელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში;

4.5.2 მიაწოდოს შემსყიდველს დადგენილი ხარისხისა და სტანდარტების, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

5 საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ფატიურად მოწოდებულ საქონელზე მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით;

5.2.მიღება-ჩბარების აქტზე, შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი.

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ სურსათის ეროვნული სააგენტოს ქონების მართვისა და სამეურნეო სამართველოს უფროსი სპეციალისტი დავით ბაქრაძე და ამავე სამართველოს უფროსი სპეციალისტი დავით კარტოზია.

6.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

6.3. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისთვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები;

6.5. ყველა გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7 გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს დეფექტებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის და ნაკლის გამოსწორება.

8 ანგარიშსწორება

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და სათანადო საგადახდო დოკუმენტების შემსყიდველისთვის მიწოდების თარიღიდან (იმის მიხედვით რომელი უფრო გვიან მოხდება).

9 ფასები

9.1. მოსაწოდებელი საქონელის ერთეულის ფასები მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ში.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ

გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების მე-4 მუხლით განსაზღვრული ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1. მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0.02% ოდენობის შესაბამისი თანხით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე.

11.2. ხელშეკრულების 4.5.1. მუხლით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებით მოწოდებული საქონელის ღირებულების 0.02%-ის შესაბამის თანხით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

11.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობის შესაბამისი თანხით.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ 11.1. და 11.2. პუნქტის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამურმა თანხამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 1%, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.5. მიმწოდებელმა პირგასამტეხლოების გადახდა და აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის შემსყიდველთან წარმოდგენა უნდა უზრუნველყოს წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის განმავლობაში.

11.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12 ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის , თუ ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

12.2. დაუძლეველი ძალა წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობდა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, წარმოიშვა მხარეთა ნების გარეშე და მათი ქმედებისაგან დამოუკიდებლად და რომელთა კონტროლი აღემატება მხარეთა შესაძლებლობას. დაუძლეველი ძალა მოიცავს შემდეგ მოვლენებს. (მაგრამ არ შემოიფარგლება):

- სტიქიური მოვლენები (მიწისძვრა, წყალდიდობა, გრიგალი და ა.შ);
- ხანძარი, დივერსიები, ხელისუფლების არამართლზომიერი გადაწყვეტილება;
- საომარი მოქმედებები;
- სხვა მოვლენები, რომლებიც არ ექვემდებარება მხარეთა კონტროლს.

12.3. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გამო, ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს შესაბამისი გარემოების დადგომისთანავე, თუ ეს შეუძლებელი არ არის იმავე გარემოების გამო. სხვა შემთხვევაში აღნიშნული მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისთვის.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

13.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14 სხვაპირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	**შ.პ.ს. "ბრიკო კავკასუსი"**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 ბანკი : სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: 220101222 ანგარიშსწორების ანგარიში: 200122900	ს.კ. – 405067494 თბილისი, მარშალ გელოვანის №8 მომსახურე ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი" ბ.კ. – TBCBGE22 ა/ა: GE26TB 7009 0361 5010 0002
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**დირექტორი** _____ **მამუკა დოლიძე**

Brico Caucasus LLC

Digitally signed by Brico Caucasus LLC
DN: cn=Brico Caucasus LLC, 2.5.4.97=NTRGE-405067494, o=••• ••••• •••••••••, c=GE
Date: 2021.02.18 15:21:35 +04'00'

დანართი №1

#	საქონლის დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ღირებულება სულ (ლარი)
1	ვარვარა ნათურა 230V 100W E27Al	ცალი	**100**	2.10	210.00
2	Camelion Led Lamp LED20-A65/865/E27 ნათურა ლედ განათებით ეკონომიური 20 ვატი	ცალი	**5**	11.95	59.75
3	ბუდე თეთრი E27	ცალი	**20**	1.00	20.00
				ს უ ლ	**289.75**

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	**შ.პ.ს. "ბრიკო კავკასუსი"**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის №6 ბანკი : სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: 220101222 ანგარიშსწორების ანგარიში: 200122900	ს.კ. – 405067494 თბილისი, მარშალ გელოვანის №8 მომსახურე ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი" ბ.კ. – TBCBGE22 ა/ა: GE26TB 7009 0361 5010 0002
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**დირექტორი** _____ **მამუკა დოლიძე**

ზურაბ ჩეკურაშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო